თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7920423

ნომერი: AR11136930

თარიღი : 06.05.2026

გაცემის თარიღი : 14.05.2026

გაცნობის თარიღი : 15.05.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბახტრიონის ქუჩა , N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბონდო ღავთაძე პ/ნ 35001116280
- რუსთავი ალ.მესხიშვილის I გას. კორ. 9 ბ. 35

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს უოთერ ანდ ფაუერი კოდი: 203826002

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ბახტრიონის ქუჩა, N14 საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უსაძირკვლო ნაგებობის განთავსებას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 882026187814 30/03/2026 წ. საკადასტრო კოდი № 01.10.17.004.119, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი და განთავსების სქემა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, ბახტრიონის ქუჩა, N14 საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უსაძირკვლო ნაგებობის განთავსების შესაძლებლობას. გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.